ხელშეკრულება №9

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№23

ქ. ქუთაისი

15 დეკემბერი 2015 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის #1 საჯარო საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ლელა ციბაძეს სახით და მეორე მხრივ, ფ/პ „იმედა ბოკელავაძე„ პ/ნ 53001017855 (შემდგომში „მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის წინადადების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

**2. ხელშეკრულების საგანი:** (შემდგომში „მომსახურება") **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის #1 საჯარო სკოლი-ს აუქციონის მომზადება და eauction.ge-ზე ატვირთვა.**

**3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **50 (ორმოცდაათი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

**4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევის შემდეგ ხელმოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

**5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციის მომზადების და შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის შემდეგ.

**6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა**

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 30 დეკემბრამდე.

**7. მხარეთა უფლება–მოვალეობები**

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

**8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

**პირველი მხარე:**

ფ/პ "იმედა ბოკელავაძე"

მის: ქუთაისი, ჯავახიშვილი ქ. №26

ს/ს "თიბისი ბანკის"(ქუთაისის ფილიალი)

ბ/კოდი: TBCBGE22

ა/ა GE60TB7109336010300012

ს/კოდი 53001017855

დირექტორი

იმედა ბოკელავაძე

**მეორე მხარე:**

სოფელ ფარცხანაყანევის #1 საჯარო საჯარო სკოლა

მის: სოფელ ფარცხანაყანევი

ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბ/კოდი: TRESGE22

ა/ა # GE45BG0000000119523400

ს/კოდი 221299869

დირექტორი

ლელა ციბაძე